პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 9 (10706) | პარასკევი, 11 იანვარი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ერთიანობა, მეგობრობა, ურთიერთდახმარება

„პრავდაში“ გამოქვეყნებული ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებისა და ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ წარმოადგენენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, მუშათა კლასის პარტიების სოლიდარობისა და ერთიანობის მკაფიო დადასტურებას.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთობა ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ინტერესთა ერთიანობას სოციალიზმის მშენებლობასა და მშვიდობის დაცვაში.

ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1955 წლის 20 სექტემბერს. ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა საქვეყნოდ დაადასტურეს, რომ მათი ურთიერთობა შენდება სრულ თანასწორუფლებიანობაზე, სუვერენიტეტის ურთიერთპატივცემასა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე. მოსკოვში ამ დღეებში გამართული მოლაპარაკების შედეგად ორივე მთავრობამ განაცხადა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულების პრინციპები კვლავაც იქნება მათი ურთიერთობის ურყევი საფუძველი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მთელი გერმანელი ხალხის წარმატებით ბრძოლას მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოდ გერმანიის გაერთიანებისათვის. მოსკოვის მოლაპარაკების მსვლელობაში სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებმა ერთსულოვნად გაანცხადეს, რომ წინაპირობა გერმანიის საკითხის მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გადაჭრისა, რაც პირველ რიგში თვით გერმანელთა საქმე უნდა იყოს, არის ორივე გერმანული სახელმწიფოს ურთიერთგაგება და დაახლოება. ამჟამად გერმანიის გაერთიანების შთავარი დაბრკოლებაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ახლანდელი პოლიტიკური კურსი, მისი რემილიტარიზაციის პოლიტიკა, დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა ნატოს აგრესიულ ბლოკში, დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა მიერ დემოკრატიულ თავისუფლებათა ჩახშობა. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ხელს აიღებდა ასეთ პოლიტიკაზე და ორივე გერმანული სახელმწიფო შეთანხმდებოდა გერმანიის საერთო ხასიათის საკითხებზე, ეს გზას გაუხსნიდა გერმანიის პრობლემის საბოლოო მოწესრიგებას.

საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საღად უწევენ ანგარიშს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის იმპერიალისტური წრეები ისწრაფვიან გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება. იმპერიალისტურმა რეაქციამ გააძლიერა თავისი ცდები — გათიშვა შეიტანოს სოციალისტური სახელმწიფოებისა და კომუნისტური პარტიების რიგებში. იგი ცდილობს უაღრესად საზიზღარი პროვოკაციებით გამოიწვიოს უნდობლობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების პოლიტიკისადმი და ამით შეასუსტოს სოციალიზმის იდეების უდიდესი მიმზიდველი ძალა.

სავსებით ცხადია, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული გეგმა შუა და ახლო აღმოსავლეთის მიმართ, რომელიც ცნობილია „იზენჰაუერ-დალესის დოქტრინის“ სახელწოდებით, იმ ჯაშუშური ორგანიზაციების ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომლებსაც შეერთებული შტატები აფინანსებენ, — ყოველივე ეს საფრთხეს წარმოადგენს არა მარტო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა უშიშროებისათვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა უშიშროებისთვისაც.

ამ პირობებში, ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ყველა სოციალისტური სახელმწიფოს ერთიანობა და მათი ურყევი მისწრაფება — საერთო ძალებით დაიცვან თავისუფალი ხალხების დიადი მონაპოვარნი. საჭიროა კომუნისტური და მუშათა პარტიების დარაზმვა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, საჭიროა მათი ერთობლივი მოქმედება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რათა გააერთიანონ მშვიდობისმოყვარე ძალები იმპერიალისტური რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ. ეს ავალებს კომუნისტურ და მუშათა პარტიებს გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების რევიზიის ყოველ ცდას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, აღნიშნულია ცნობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების შეხედულებათა და მოქმედების ერთიანობას სოციალიზმის მშენებლობის ძირეულ საკითხებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციები შეთანხმდნენ, რომ ორივე პარტია კვლავაც იქონიებს მჭიდრო კავშირს და დახმარებას გაუწევს ერთმანეთს. ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების მოძმე პარტიებს შორის ურთიერთობის განმტკიცებას.

ფაქტები სავსებით ცხადყოფენ, რომ იმპერიალისტური წრეების ხრიკების საწინააღმდეგოდ სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობა და მუშათა კლასის პარტიების დარაზმულობა არათუ არ სუსტდება, არამედ, პირიქით, დღითიდღე სულ უფრო და უფრო მტკიცდება. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს, კერძოდ, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრა ბუდაპეშტში. ამასვე მოწმობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შედეგები.

„ორივე მხარეს, — აღნიშნულია ამ მოლაპარაკების შესახებ დღეს გამოქვეყნებულ კომუნიკეში, — ერთსულოვნად მიაჩნია, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით და მეგობრული თანამშრომლობა მათ შორის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საიმედო გარანტიაა. ორივე მხარე გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი მჭიდრო თანამშრომლობა და ერთიანობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთა თანასწორუფლებიანობის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე“.

საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისევე როგორც სოციალისტური ბანაკის ყველა სხვა სახელმწიფო, თანმიმდევრულად იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ახორციელებენ რა მშვიდობიან პოლიტიკას, ისინი ამავე დროს ფხიზლად ადევნებენ თვალყურს საერთაშორისო რეაქციის ხრიკებს და მზად არიან მოიგერიონ ყოველგვარი პროვოკაცია თავისუფალი ხალხების დიად მონაპოვართა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობები, რომლებსაც აკავშირებთ ვარშავის ხელშეკრულებით ნაკისრი სამოკავშირეო ვალდებულებანი, აცხადებენ, რომ აღკვეთილ იქნება ყოველი ცდა — იძულებითი მეთოდები გამოიყენონ გერმანიის საკითხის გადაჭრაში და ცდა — მტრული მოქმედებით შეარყიონ სახალხო-დემოკრატიული წყობილება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვან მშვიდობის საქმე, მათი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, განუწყვეტლივ მზარდი დარაზმულობა და ძალიერება გზას უღობავს ყოველგვარი ავანტიურის მოყვარულთ.

სახალხო ხელისუფლების არსებობის შვიდი წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა, დაძლიეს რა მნიშვნელოვანი სიძნელეები, მოიპოვეს არსებითი წარმატებანი თავიანთ ეკონომიურ განვითარებაში. ეს იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძალაუფლება მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხების ხელშია. გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას—მუშათა კლასის პარტიას კავშირი აქვს სხვა დემოკრატიულ პარტიებთან, ეყრდნობა გერმანელი ხალხის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალების მხარდაჭერას.

რესპუბლიკის სამეურნეო განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობა ვითარდება თანასწორობის, ურთიერთ სარგებლობისა და ძმური ურთიერთდახმარების საფუძველზე. მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად ორივე მთავრობამ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ ეკონომიური ურთიერთობა ამ საფუძველზე.

სსრ კავშირის მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციის პრინციპების რეალური განხორციელებაა მოსკოვის მოლაპარაკების მსვლელობაში მიღწეული შეთანხმება ისეთი პრობლემების შესახებ, როგორიც არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების განლაგებასთან დაკავშირებული საკითხები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის, საკონსულო ურთიერთობის მოწესრიგების, კულტურულ ფასეულობათა ურთიერთდაბრუნების საკითხები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც მათი საიმედო და ერთგული მეგობარი იქნება. საბჭოთა კავშირი კვლავაც განაგრძობს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ფართო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გზას მშვიდობის განმტკიცებისა და ორივე სახელმწიფოს ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ მეგობრობა, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან და ყოველნაირად დაიცვან იგი მტრების ხრიკებისაგან.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხები, ბანაკისა, რომელიც აერთიანებს დაახლოებით ერთ მილიარდ კაცს, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების გარშემო მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშის ქვეშ. სოციალისტური სახელმწიფოები გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ მტრის ყოველ ცდას — შეასუსტოს სოციალისტური ბანაკი, იცავენ ურღვევ ერთიანობას, თანმიმდევრულად და მტკიცედ იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

„პრავდის“ 10-I მოწვინავე.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 9 იანვარი. (საქდესი). გამოქვეყნდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ. არჩევნები დანიშნულია კვირას, 1957 წლის 17 მარტს.

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის

10 იანვარს მოსკოვში, კრემლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვან ძია-სიანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა. მოლაპარაკებას ესწრებიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ტ. ფედორენკო და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი.

დღევანდელი მოლაპარაკების დროს გრძელდებოდა აზრთა გაზიარება როგორც თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისე აგრეთვე სხვა საკითხებზე, რომლებიც ორივე მთავრობის დელეგაციებს აინტერესებთ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულთბილ, გულითად ვითარებაში და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

შემდგომი მოლაპარაკება გაგრძელდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ.

კ ო მ უ ნ ი კ ე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ

1957 წლის 7 და 8 იანვარს მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის ხელმძღვანელობით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის პრემიერ-მინისტრის ოტო გროტეოლის ხელმძღვანელობით.

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს ჩინეთის მხრივ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ხე ლუნმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვან ძია-სიანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოტო ნუშკემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოხარ ბოლცმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰანს ლოხმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პაულ შოლცმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში იოჰანეს კიონიგმა.

მოლაპარაკების დროს ორივე მთავრობის დელეგაციამ ერთმანეთს გაუზიარა აზრი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მხარს უჭერს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების ერთობლივ განცხადებას, რომელიც ხელმოწერილია 1957 წლის 7 იანვარს.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ უკანასკნელ თვეებში ეგვიპტეზე აგრესიული იმპერიალისტური წრეების საომარმა თავდასხმამ და უნგრეთში მათმა ძირგამომთხრელმა მუშაობამ ზიანი მიაყენა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს. თუმცა საომარმა თავდასხმამ ეგვიპტეზე და კონტრრევოლუციურმა პუტჩმა უნგრეთში ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, მაგრამ იმპერიალისტური წრეები ვერ შეურიგდებიან თავიანთ დამარცხებას. ამჟამად ისინი განაგრძობენ აგრესიულ შეთქმულებებს და ძირგამომთხრელ მუშაობას.

ორივე მხარე გამოთქვამს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირონ ეგვიპტელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ყოველი აგრესიის წინააღმდეგ და არაბთა ქვეყნების სამართლიან ბრძოლას ეიზენჰაუერის დოქტრინის წინააღმდეგ; კვლავ დაუჭირონ მხარი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას პრემიერ-მინისტრ კადარის ხელმძღვანელობით და მტკიცედ იმოქმედონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ევროპაში, აგრეთვე იმ ძირგამომთხრელი მუშაობის წინააღმდეგ, რასაც ეწევა ნატოს ბლოკი ამერიკის იმპერიალიზმის ხელმძღვანელობით, და მისი იმ გეგმების ჩასაშლელად, რომლებიც მიმართულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ორივე მხარე აცხადებს, რომ ისინი კვლავაც მიიღებენ შეუსუსტებელ ღონისძიებებს იმისათვის, რომ შენელდეს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა.

ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით და მეგობრული თანამშრომლობა მათ შორის მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საიმედო გარანტიაა. ორივე მხარე გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ თავიანთი მჭიდრო თანამშრომლობა და ერთიანობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთა თანასწორუფლებიანობის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე.

ორივე მხარე აცხადებს, რომ ისინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილია პეკინში 1955 წლის 25 დეკემბერს, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განავითარონ გულწრფელი თანამშრომლობა და მეგობრული ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს შორის. ორივე მხარე ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩინელ და გერმანელ ხალხებს ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან და ხალხთან ერთად მოეპოვებათ საკმაო ძალები, რომ დაამსხვრიონ აგრესიული იმპერიალისტური წრეების შეთქმულებანი და შეინარჩუნონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

მოლაპარაკება გულითად და მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

მოსკოვი, 1957 წლის 8 იანვარი.

XVI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

9 იანვარს კრემლში ბალზე მოვიდნენ ოლიმპიელი სპორტსმენები, ისინი, ვინც შეუპოვარი სპორტული ბრძოლით სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა მელბურნის ოლიმპიადაზე.

ბრწყინავს ოქროს მედლები, რომლებიც აღნიშნავენ საბჭოთა სპორტსმენების შესანიშნავ გამარჯვებას. ბალს ესწრებიან ვლადიმერ კუცი, ლარისა ლატინინა, ვიქტორ ჩუკარინი, ვალენტინ მურატოვი, ვიაჩესლავ ივანოვი, ვლადიმერ ენგიბარიანი, გენადი შატკოვი და სხვები. სტუმრებს შორის არიან უცხოელი სპორტსმენები, რომლებიც სამშობლოში ბრუნდებიან მელბურნიდან.

შეკრებილთ მიმართა საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. დავიდოვმა, რომელმაც მიულოცა მათ სახელოვანი გამარჯვება, უსურვა ახალი წარმატებანი შრომაში, სწავლასა და სპორტში.

აინთო საახალწლო ნაძვისხის ნათურები. წახნაგოვან პალატაში, გიორგისა და ვლადიმირის დარბაზებში, ყველგან მუსიკა, სიმღერა, სიცილი, ხუმრობა ისმის, ატრაქციონთა მოყვარულები ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმარჯვეში, ძალასა და გამჭრიახობაში. გამოდიან მსახიობები.

საერთო მხიარულების დროს გიორგის დარბაზში შედიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძია-სიანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო. ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილენი მჭუხარე ტაშით, მისალმების შეძახილებით ეგებებიან სტუმრებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი მიესალმება საბჭოთა სპორტსმენებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით იგი ულოცავს მათ საერთაშორისო სასპორტო ასპარეზზე მოპოვებულ გამარჯვებას.

— თქვენ კარგად უჩვენეთ თქვენი შესაძლებლობანი და თქვენი ოსტატობა, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ღირსეულად დაიცავით ჩვენი სამშობლოს სპორტული ღირსება. ახლა მთავარია არ იყოყოჩოთ. მომავალში კიდევ უფრო სერიოზული სპორტული შეჯიბრებები გელოდათ. უნდა განიმტკიცოთ და განავითაროთ მორალური და ფიზიკური ძალები, გაიუმჯობესოთ ოსტატობა ყველა სახეობის სპორტში. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ძალიან კმაყოფილი არიან, მათ დიდად ახარებს თქვენი წარმატებები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვება უსურვა საბჭოთა ხალხს, ჩინეთის ხალხს, სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის ეკონომიური და ურღვევ მეგობრობა, [illegible] ცია იმართება, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს:

— გაუმარჯოს ჩვენს სტუმრებს — დიდი ჩინეთის წარმომადგენლებს!

მიკროფონთან მიდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი. იგი საბჭოთა სპორტსმენებს მიესალმება ჩინელი ხალხის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის სახელით. ამხანაგი ჯოუ ენ-ლაი საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს ულოცავს ოლიმპიურ ასპარეზობაში მიღწეულ დიდ გამარჯვებას.

იგი განსაკუთრებით აღნიშნავს მშვიდობიან შეჯიბრებაში ამერიკის გუნდზე — მელბურნის ოლიმპიადის უძლიერეს გუნდზე გამარჯვებას.

— თქვენი ჩინელი ძმები, — თქვა ჯოუ ენ-ლაიმ, — ჯერ კიდევ ჩამორჩენილი არიან ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში. მაგრამ 10 წლის შემდეგ ჩინელი სპორტსმენები შეძლებენ კარგ წარმატებებს მიაღწიონ. ჩვენი სპორტსმენები თქვენთან ერთად უნდა იყვნენ და ისწავლონ თქვენგან.

დაე მუშაობის ყველა დარგში ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხები ერთად, ხელიხელჩაკიდებული იყვნენ.

როცა ჯოუ ენ-ლაიმ გამარჯვება უსურვა ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურღვევ მეგობრობას, დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, დარბაზში გაისმა მჭუხარე ტაში, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

XVI ოლიმპიურ ასპარეზობაზე გამარჯვებულ სპორტსმენთა სახელით გამოვიდა ოლიმპიელი ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ კუცი. მან მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ფიზკულტურელებზე, საბჭოთა სპორტის განვითარებაზე ზრუნვისათვის. ვლადიმერ კუცი საბჭოთა სპორტსმენების სახელით მიესალმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას ჯოუ ენ-ლაის მეთაურობით. დარბაზში გაისმის შეძახილები: „ვაშა! გაუმარჯოს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს ჩინეთის მთავრობას! გაუმარჯოს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას! საბჭოთა ფიზკულტურელების სალამი ამხანაგ მაო ძედუნს!

ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ჯოუ ენ-ლაი, ხე ლუნი, ვან ძია-სიანი, ლიუ სიაო გულთბილად ეთხოვებიან საბჭოთა სპორტსმენებს.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილე ხე ლუნი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვან ძია-სიანი 9 იანვარს ეწვივნენ მოსკოვის უნივერსიტეტს. ახალგაზრდობა გულითადად მიესალმა დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლებს. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის კაბინეტში მეგობრული საუბარი გაიმართა. პრემიერი ჯოუ ენ-ლაი დაინტერესდა უნივერსიტეტის ცხოვრებით, იკითხა, თუ რა ლაბორატორიები აქვს უნივერსიტეტს, როგორ სწავლობენ ჩინელი სტუდენტები და ასპირანტები. უპასუხა რა ამ კითხვებზე, აკადემიკოსმა პეტროვსკიმ თქვა, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლა სწავლობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსული 500-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი, მომზადებას გადის 120 ჩინელი ასპირანტი. ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ მათი მეცადინეობით, განაცხადა რექტორმა. აკადემიკოსმა პეტროვსკიმ დასძინა, რომ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში არიან აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, ინდოეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან და სხვა სახელმწიფოებიდან ჩამოსული მოსწავლეები.

საუბრის შემდეგ სტუმრები იყვნენ აუდიტორიებში, სამკითხველო დარბაზებში, ჩინელ სტუდენტთა საცხოვრებელ ოთახებში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს მჭუხარე ოვაციით შეხვდნენ სააქტო დარბაზში, სადაც გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზეც აკადემიკოსმა ი. გ. პეტროვსკიმ განაცხადა, რომ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ საერთაშორისო სამართლის დარგში ჯოუ ენ-ლაის თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ერთხმად აირჩია იგი იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორად. აკადემიკოსმა პეტროვსკიმ ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის გადასცა დიპლომი ამ სამეცნიერო წოდების მინიჭების შესახებ. დარბაზის ყველა კუთხეში გაისმა „ვაშას“ შეძახილები, გამარჯვება უსურვეს პრემიერს, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობას.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა დ. ს. კარევმა გულითადად მიულოცა ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის მისთვის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება.

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავალთასიანი კოლექტივის სახელით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს მიესალმა ასპირანტი ა. ზელენინი. მხურვალე აღფრთოვანებული სიტყვებით მიესალმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჩინელი სტუდენტი, გეოგრაფიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის მსმენელი ხუ ძუნპეი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ტაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

მჯეროდ დავიცვათ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები

პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საკითხს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმო წალკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა. საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ა. მაკაროვმა.

მოხსენებაში და დელეგატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენისათვის, შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებას. გაიზარდა კომუნისტების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მეცხოველეობა წალკის რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა პირუტყვის სულადობა, გადიდდა წველადობა.

ამასთან ერთად კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. ჩამორჩება მეღორეობა. გასულ სამეურნეო წელს არ შესრულებულა ცხვრის სულადობის ზრდის გეგმა. მთლიანად არ არის გამოყენებული პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის გადიდების რეზერვები.

კონფერენციის ბევრი დელეგატი თავის სიტყვაში შეეხო მარცვლეულისა და კარტოფილის კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ჯარტოფილის ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს — 50,4 ცენტნერი ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 117 ცენტნერისა.

კამათის მონაწილეები თავიანთ გამოსვლებში შეეხნენ შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცების საკითხს, პარტიის რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს კომუნისტების, ყველა კოლმეურნის შრომითი აქტივობის ზრდის საქმეში.

სოფელ ნარდევანის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. მელტონიანმა განაცხადა:

— ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კომუნისტებს ზრდის დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე ჩვენ იმას ვაღწევთ, რომ ყველა კომუნისტი აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე ილაპარაკა კონფერენციის დელეგატმა, მეორე ხრამჰესის მშენებლობის უფროსმა გ. ალავიძემ.

ასრულებენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისათვის. მაგრამ, როგორც კონფერენციაზე გამოირკვა, ამ მხრივ ყველაფერი როდია გაკეთებული. რაიკომის ზოგიერთი წევრი აქტიურად არ მონაწილეობდა პარტიული ორგანოს საქმიანობაში. სერიოზული ნაკლოვანებები იყო რაიონული კომიტეტის ბიუროს მუშაობაშიც. იგი ნაკლებად ზრუნავდა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. რაიკომის მეორე მდივანი ნ. კურდოვი არასაკმაო ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა მასებში.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა რაიკომის მდივანმა წალკის მტს-ის ზონაში გ. გავრილოვმა სწორად ცნო ინსტრუქტორთა ჯგუფის კრიტიკა. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი არადამაკმაყოფილებლად ეხმარება ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, ნაკლებად ზრუნავს კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებისათვის. ამასთან მან თქვა, რომ რაიკომის ბიურომ უკეთ უნდა უხელმძღვანელოს ინსტრუქტორთა ჯგუფებს, გააძლიეროს პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის.

კამათის მონაწილე ბევრმა დელეგატმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა რაიაღმასკომის, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობის საკითხებზე. კონფერენციაზე ითქვა, რომ უკანასკნელ ხანებამდე მათი როლი დამცირებული იყო. აღგილობრივი საბჭოების სესიები შემთხვევიდან შემთხვევამდე ეწყობოდა. დეპუტატები იშვიათად აბარებდნენ ანგარიშს ამომრჩევლებს. ამჟამად ეს ნაკლოვანებანი სწორდება.

— აუცილებელია, — თქვა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ტატვინიძემ, — გამოვაცოცხლოთ აღგილობრივი საბჭოების საქმიანობა, მტკიცედ დავიცვათ და შემდგომ განვავითაროთ საბჭოთა დემოკრატია. ამის მისაღწევად საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, გავაძლიეროთ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო. კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მასებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

* * *

შედგა პარტიის წალკის ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ა. მაკაროვი, მეორე მდივნად — ნ. კურდოვი, მდივნად წალკის მტს-ის ზონაში — გ. გავრილოვი, მდივნად ავრანლოს მტს-ის ზონაში — მ. ოვსეპიანი.

გაზეთ „ლენინსკი პუტის“ რედაქცია — „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

თბილისი. ქარხანა „ელექტროგამშვებში“ იანვრის პირველ რიცხვებში დამზადებულ ელექტროხელსაწყოთა შეფუთვა მომხმარებლებისათვის გასაგზავნად.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ავტომობილმშენებლები აჩაღებენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობას

ქუთაისი. (საკ. კორ.). გორკელი ავტომობილმშენებლების ინიციატივამ საბინაო მშენებლობის გაფართოებისა და ამ მშენებლობაში მასების ჩაბმის შესახებ ფართო გამოხმაურება გამოიწვია ქუთაისელ ავტომობილმშენებლებში. ამჟამად ავტომობილმშენებელთა საცხოვრებელ უბანში 50 ახალი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. ქარხნის ხელმძღვანელები სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მათ ყოველგვარ დახმარებას უწევენ მშენებლობის სწრაფად განვითარებისათვის. ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს ქარხნის დირექციამ დახმარების სახით მისცა 100.000 მანეთი, დიდძალი აგური, ეხმარება ტრანსპორტით და საპროექტო დოკუმენტების მომარაგებაში.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ავტომობილმშენებლებს საცხოვრებელი სახლების ასაგებად გამოუყო 250 მიწის ნაკვეთი.

ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ყველა საამქრო ინარჩუნებს გასული წლის ბოლოს აღებულ ტემპს და ახალი წლის პირველი დღეებიდანვე წარმატებით ასრულებს დავალებას. პირველ სამუშაო დღესვე — 2 იანვარს პირველმა შემკერავმა საამქრომ (უფროსი ვ. ნადარეიშვილი) დღიური დავალების გადამეტებით ქალისა და მამაკაცის 50 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა, ხოლო 3 იანვარს — მამაკაცის 100 წყვილი ფეხსაცმელი.

კარგად მუშაობენ ფეხსაცმლის გამომშრელები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 105-110 პროცენტით ანაღდებენ. გამომშრელებმა გუნიშკოვამ, ლ. კალაჩევამ, ნ. კორჟენკომ, რომლებიც ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან, რამდენიმე ათეული წყვილი ფეხსაცმლისათვის საკმარისი ნედლეულის ეკონომია გააწიეს.

აღვკვეთოთ უდარდელი დამოკიდებულება მევენახეობის განვითარებისადმი

ზესტაფონის რაიონში მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იგი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადი ამოცანაა მოსავლიანობის ამაღლება. მოწინავე მევენახეთა გამოცდილება ადასტურებს, რომ დიდ ფართობებზე შესაძლებელია უხვი მოსავლის მიღება. ამისათვის საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ამა თუ იმ კულტურის დამუშავების აგროტექნიკური ვადები, ხარისხი, ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და პროგრესული მეთოდები.

მაგრამ, სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ამ საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცევა რაიონის კოლმეურნეობებში, ბევრგან ვენახები დაკნინების გზაზეა დამდგარი.

სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ 1956 წელს რაიონში საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 25,6 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერისა და წინა სამეურნეო წელს მიღებული 53,4 ცენტნერისა.

ცხადია, გასული წლის არახელსაყრელმა ამინდმა ერთგვარად ხელი შეუწყო ყურძნის დაბალ მოსავლიანობას. მაგრამ მიზეზი იმ დიდი ჩამორჩენისა, რაც რაიონშია, მუდამ ცუდი ამინდი კი არ არის, არამედ ის, რომ ვენახები მოკლებულია სათანადო მზრუნველობასა და მოვლა-პატრონობას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ყანჩაველი) 1956 წელს 45,3 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე 52,3 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო მისმა მეზობელმა — სოფელ კლდეეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. საყვარელიძე), რომელსაც მევენახეობის განვითარების ისეთივე პირობები აქვს, 35,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ 19,1 ცენტნერი.

სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ვაჭარაძე), რომელსაც 37,53 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს, საშუალოდ ჰექტარზე 46,6 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ კი ჰექტარზე საშუალოდ 24 ცენტნერი.

პარტიის XX ყრილობამ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად კონკრეტულად განსაზღვრა მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მოსავლის გადიდების დარგში პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანები. მაგრამ ამ ამოცანების განხორციელებისათვის ზესტაფონის რაიონში არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან, რამაც ერთი მხრივ განაპირობა გასულ წელს ყურძნის დაბალი მოსავლის მიღება.

მოსალოდნელი იყო, რომ ზესტაფონელები გაითვალისწინებდნენ გასული წლის მწარე გაკვეთილებს და წელს უკეთესად შეუდგებოდნენ მუშაობას. რაიონში კი ეს არ იგრძნობა. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ხელმძღვანელობის კანცელარული სტილისაგან, აღმოფხვრილი არ არის გაპიროვნება კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში, ინსტრუქტორთა ჯგუფები ვერ შეეჩვევნენ ცოცხალ, კონკრეტულ, ოპერატიულ მუშაობას კოლმეურნეებთან.

ბევრი თათბირი, ბიუროს და აღმასკომის სხდომები მიეძღვნა ვენახებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულების საკითხის განხილვას, მაგრამ ვენაიდან ცოცხალი საქმე დაივიწყეს, კვლავ საგანგაშო მდგომარეობაა.

რაიონში 1956-1960 წლებში უნდა გაშენდეს 700 ჰექტარი ახალი ვენახი, აღდგენილ იქნას 525 ჰექტარი დაზიანებული ვენახები. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის ვენახების საერთო ფართობი 2.090 ჰექტარიდან 2.790 ჰექტარამდე უნდა გაიზარდოს და საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 60 ცენტნერს უნდა მიაღწიოს. აქედან გასაგებია, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ზესტაფონის რაიონს, როგორც რესპუბლიკაში მევენახეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონს.

1956 წელს რაიონში 100 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულ იქნა 60 ჰექტარი ვენახი. სოფელ ცხენთაროს ბულგანინის სახელობის, კვალითის მოლოტოვის სახელობის და პირველი მაისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში არც ერთი ჰექტარი ვენახი არ გაუშენებიათ. ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა 1957 წელს ვენახების გასაშენებლად. სავენახე მიწის პლანტაჟი 120 ჰექტარის ნაცვლად მომზადებულია 92 ჰექტარი, ცხრაწყაროს სტალინის სახელობის, პირველი სვირის მალენკოვის სახელობის, ილემის ვოროშილოვის სახელობის, შრომის სტალინის და კაგანოვიჩის სახელობის, ძირულის კალინინის, ხოზე დიასის და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებს სავენახე მიწის პლანტაჟის მომზადება დღემდე არ დაუწყიათ.

რაიონში არცერთი კოლმეურნეობა არ შესდგომია სანერგეებიდან ვაზის ამოღებას და სადედეებიდან საძირე ლერწის დამზადებას. თავს არ იწუხებენ ვენახებში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანისათვის. ორგანული სასუქი შეტანილია 150 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა. კლდეეთის ლენინის სახელობის, ძირულის ხოზე დიასის სახელობის, ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის და ძირულის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობებს ვენახებში შარშან არცერთი კილოგრამი სასუქი არ შეუტანიათ. სოფლმომარაგების რაიონული განყოფილების საწყობებში ეს სასუქები დიდი რაოდენობით არის დაგროვილი, მაგრამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები მათ გატანაზე არ ფიქრობენ.

ჩამორჩენაა აგრეთვე ვაზის რიგთაშორის ბარვაში. გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარის ნაცვლად ეს სამუშაო შესრულებულია 205 ჰექტარზე. პირველი სვირის სტალინის სახელობის, კვალითის მოლოტოვის სახელობის და ზედა საქარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს აღნიშნული სამუშაო არ დაუწყიათ.

ზესტაფონის მტს-ის დირექტორი მ. ბარბაქაძე გულდამშვიდებით შეჰყურებს ამ მდგომარეობას და არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს არ იყენებს ჩამორჩენის დასაძლევად.

ნუთუ დრო არ არის ამ დამაფიქრებელი ფაქტებიდან სათანადო დასკვნები გააკეთონ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა და წელსაც არ გაიმეორონ გასული წლების შეცდომები?

ბ. ხუსაკოვაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ფოტოგამოცემა

საქართველოს დეპეშათა სააგენტო (საქდესი) მომდინარე წლის პირველი კვარტალიდან იწყებს ფოტოილუსტრაციების გამოშვებას გაზეთებისათვის, აგრეთვე რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის — კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკებისათვის და სხვ. ფოტოილუსტრაციებს უშვებს საქდესის სპეციალურად შექმნილი ფოტოქრონიკის განყოფილება.

ფოტოპროდუქციის ძირითადი საბეობა, ცალკეულ ფოტოსურათებთან ერთად, იქნება თემატიკური ფოტოგაზეთები სათანადო ტექსტებით.

ისინი ასახავენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ზრდას, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებას. აჩვენებენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს და სხვ. ეს ფოტოგაზეთები იქნება თვალსაჩინო აგიტაციის საშუალება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. ფოტოგაზეთები გამოვა თვეში ორჯერ ქართულ და რუსულ ენებზე. დაიწყო ხელმოწერა საქდესის ფოტოგამოცემაზე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

თბილხილბოსტანეაჭრობის № 7 მაღაზიის გამყიდველი ლეკვეიშვილი მომხმარებლებს უხეშად მოექცა. როცა მათ საჩივრის წიგნი მოსთხოვეს, მან წიგნი გადამალა, — გვწერდა ჩვენი გაზეთის მკითხველი ძიმისტარიშვილი.

თბილხილბოსტანეაჭრობის დირექციამ, რომელსაც წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გამყიდველ ლეკვეიშვილს მომხმარებლისადმი არათავაზიანი მოპყრობისათვის საყვედური გამოუცხადა. მაღაზიის გამგე უგულავა და მისი მოადგილე კობახიძე გაფრთხილებულ იქნენ, რომ მეტი კონტროლი გაუწიონ მაღაზიის მუშაკებს, გასწიონ მათთან სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა მომხმარებელთა კულტურული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სოციალისტური ქვეყნების დარაზმულობა განუწყვეტლივ ძლიერდება

★

გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ სტატია

★

პეკინი, 9 იანვარი. (საკადესი). სინხუას საგენტო იუწყება: დღეს გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით „სოციალისტური ქვეყნების დარაზმულობა განუწყვეტლივ ძლიერდება“. სტატიაში ნათქვამია:

როცა კატობრობა ეს არის შევიდა 1957 წელში, ზედიზედ მოვიდა ადამიანთა გულის გამხარებელი ცნობები, რომ სოციალისტური ქვეყნები ახალ ღონისძიებებს ახორციელებენ მათ შორის დარაზმულობისა და თანამშრომლობის განსამტკიცებლად და რომ მათ ახალი მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს. უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის მიწვევით ბულგარეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების წარმომადგენლები მიმდინარე წლის დამდეგს ბუდაპეშტში ჩავიდნენ ოთხი დღის მოლაპარაკების გასამართავად. 7 იანვარს მოსკოვში დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის და გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება. ამავე დროს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიწვევით მოსკოვში ჩეგობრული ვიზიტით ჩავიდა ჩვენი ქვეყნის მთავრობის დელეგაცია. სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის მეთაურობით, რომელიც შემდეგ პოლონეთის მთავრობის მიწვევით მეგობრული ვიზიტით ჩავა პოლონეთში. ყველა ეს მოლაპარაკება და ვიზიტები იმას მოასწავებენ, რომ განუწყვეტლივ მტკიცდება და ვითარდება მეგობრობა და დარაზმულობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიათა და მთავრობათა წარმომადგენლების შეხვედრა დიდი მხარდაჭერაა უნგრეთის რევოლუციური საქმისათვის. შეხვედრა მოხდა იმ დროს, როცა უნგრეთის შინაგანი მდგომარეობა დღითიდღე სულ უფრო ნორმალური და სტაბილიზებული ხდება. თუმცა უნგრეთის რევოლუციური ძალები სხვადასხვა სიძნელეს აწყდებიან, მაგრამ მათს ღონისძიებებს სულ უფრო ძლიერ უჭერენ მხარს მუშათა და გლეხთა მასები, დღითიდღე მტკიცდება რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის კონტროლი უნგრეთის მდგომარეობისადმი, თანდათან ისპობა კონტრრევოლუციური ძალების ნაშთები უნგრეთში, პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელი ძალის — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ორგანიზაციები სწრაფად იქმნებიან როგორც დედაქალაქში, ისე უნგრეთის სხვადასხვა ადგილებში. მშრომელები და დემოკრატიული ძალები მუშათა კლასის მეთაურობით იბრძვიან იმისათვის, რომ მოიშუშონ ჭრილობები და აღადგინონ უნგრეთის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება. უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის 6 იანვრის განცხადება უნგრეთის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესახებ გამოხატავს კიდევაც უნგრეთის შინაგანი მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესების ტენდენციას.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დღეს უნგრეთში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული სიძნელეა. იმის შედეგად, რომ წარმოება შეწყდა და დაირღვა კონტრრევოლუციური პუტჩის დროს, სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მოუვიდა. არც თუ ძალიან მოკლე პერიოდის განმავლობაში სათბობის, ელექტროენერგიისა და ნედლეულის ნაკლებობა გავლენას მოახდენს უნგრეთის სამრეწველო წარმოების ნორმალურ მიმდინარეობაზე და გამოიწვევს ზოგიერთ სხვა უარყოფით ეკონომიურ შედეგს. არ შეიძლება ყურადღება არ მივაყროთ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ, თუმცა უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამხობის ცდები და ბნელი ზრახვები უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევისა ჩაიფუშა, მაგრამ იმპერიალისტები ჯერ კიდევ გაბოროტებითა და სიძულვილით უყურებენ უნგრეთის დამოუკიდებლობას და ემუქრებიან მის უშიშროებას. ამ სიძნელეთა გადასალახავად, უნგრეთის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, გარდა თვითონ უნგრელი ხალხის ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ საჭიროა საერთაშორისო დახმარება. ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთსულოვან მხარდაჭერას უნგრეთისადმი, რაც გამოთქვა ხუთი სოციალისტური ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრის დროს. ცნობაში ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ აღნიშნულია, რომ ბულგარეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა „აღუთქვეს უნგრელ ამხანაგებს, რომ მათი ქვეყნების ხალხები ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს და გაუწევენ დახმარებას უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობასა და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში, აგრესიული იმპერიალისტური ძალების მხრივ ხელყოფისაგან მისი დამოუკიდებლობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში“. ჩინელ ხალხს უნგრელი ხალხისა და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის მიმართ ისეთივე პოზიცია უკავია, როგორიც ბულგარეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს. საბჭოთა არმიის სამართლიანი მოქმედება და ის, რომ უნგრეთს ყოველმხრივ უჭერენ მხარს ბულგარეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია და სხვა სოციალისტური ქვეყნები, ნამდვილად გაბოტაჟავს იმას, რომ სოციალისტურ ქვეყნებს მჭიდრო ძმური ურთიერთობა აქვთ ჭორსა და ლხინში. მთელი უნგრელი ხალხის ღონისძიებებით, ყველა სოციალისტური ქვეყნის მტკიცე მხარდაჭერითა და დახმარებით უნგრეთის დროებითი შინაგანი ეკონომიური სიძნელეები შეიძლება თანდათანობით გადაილახოს. უნგრეთში სოციალისტური მშენებლობის საქმე აუცილებლად კვლავ განვითარდება, ხოლო იმპერიალიზმის შეთქმულებანი, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხარონ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას უნგრეთში, კიდევ უფრო უიმედო აღმოჩნდება.

ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შეხვედრა მოასწავებს ახალ წინსვლას სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის განვითარების საქმეში საბჭოთა კავშირ-პოლონეთისა და საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მოლაპარაკების შემდეგ. გარდა ამისა, ევროპის სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის გაიმართა მთელი რიგი ცალკეული ორმხრივი შეხვედრები და მოლაპარაკება. ყველა ეს შეხვედრა და მოლაპარაკება ცხადყოფს, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები საბჭოთა კავშირის მეთაურობით ამჟამად მაღალ სწევენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშას, დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ სოციალისტურ ქვეყნებს შორის სოლიდარობისა და თანამშრომლობის მუდმივი განვითარებისათვის.

თუმცა წარსულში ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში იყო ერთგვარი პრობლემები და ნაკლოვანებები, მაგრამ ისინი არ ყოფილან და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ დაუძლეველი წინაღმდეგობანი მათ შორის იმიტომ, რომ სოციალისტურ ქვეყნებს თავიანთი საერთო იდეოლოგიის საფუძვლად აქვთ მარქსიზმ-ლენინიზმი, ხოლო მათი საერთო საბრძოლო მიზანია დაიცვან მშვიდობის საქმე და ხელი შეუწყონ კაცობრიობის პროგრესის საქმეს. სოციალისტური ქვეყნების ხალხებს და მათს მუშათა კლასის პარტიებს თავიანთი ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებისა და კლასობრივი ბრძოლის გაკვეთილების მეოხებით შეგნებული აქვთ ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ სოლიდარობა ძალაა. ამიტომ მათ თავიანთ ერთ-ერთ უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ სოციალისტური ქვეყნების დარაზმულობის განუწყვეტელი განმტკიცება და გაძლიერება. სწორედ ამრიგად სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ყოველი საკითხი შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაიჭრას გულწრფელი მოლაპარაკებისა და ამხანაგური განხილვის გზით სრული თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივცემისა და ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. თუ ახე მოვიქცევით, სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობა შეიძლება კიდევ უფრო განმტკიცდეს, ხოლო დარაზმულობა მათ შორის კიდევ უფრო გაძლიერდეს, რითაც შესაძლებელი გახდება ურთიერთ დახმარების გზით მივაღწიოთ ამ ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას და მშვიდობის საქმის დაცვისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას. ყველა ხედავს, რომ უკანასკნელი დროის განმავლობაში იმპერიალიზმის პროპაგანდისტულმა მანქანამ გააფურებული პროვოკაციული კამპანია გააჩაღა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის წინააღმდეგ. მაგრამ სოციალიზმის საქმე ვერასოდეს ვერ განვითარდება იმპერიალისტების ლოგიკისა და სურვილის მიხედვით. სოციალისტურ ქვეყნებს შორის შეკავშირება არათუ არ შესუსტდება, არამედ განმტკიცდება და განვითარდება. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, აგრეთვე ჩინეთ-პოლონეთის მოლაპარაკება, რომელიც უახლოეს ხანში გაიმართება, ახალ დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალისტურ ქვეყნებს შორის შეკავშირების განმტკიცებისა და გაძლიერების საქმეში.

ცნობაში ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ერთობლივ განცხადებაში აგრეთვე ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო მდგომარეობაში ამ უკანასკნელ ხანს კვლავ ინინა თავი დაძაბულობის ტენდენციამ. ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის შეიარაღებული აგრესიის შედეგად, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი საქმიანობის გაძლიერების შედეგად, განსაკუთრებით იმის შედეგად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა ჯგუფმა წამოაყენა „ეიზენჰაუერის დოქტრინა“, რომლის მიზანია ახალი თავხედური შეტევა მოაწყონ შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხების წინააღმდეგ, დაძაბულობის შენელების გზით საერთაშორისო მდგომარეობის გვითარება ახალ დაბრკოლებებს წააწყდა. ცნობაში ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ ამ შეხვედრის მონაწილეები, რომლებმაც ერთხელ კიდევ დაადასტურეს სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიანი პოლიტიკა, აცხადებენ, რომ „მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გამოიყენონ სოციალისტური წყობილების ძალები და თავიანთი გავლენა იმისათვის, რომ ჩაფუშონ აგრესიული წრეების ცდები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების შემდგომი გამწვავება, გამალებული შეიარაღების გაძლიერება, ომის ფსიქოზის გაღვივება“. ჩვენ გადაჭრით ვუჭერთ მხარს ამ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომელიც გამოთქმულია ცნობაში ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა შეხვედრის შესახებ. იმპერიალიზმის ექსპანსიონისტური კოლონიური პოლიტიკა და მისი შეტევა მთელი მსოფლიოს სოციალისტური ძალების წინააღმდეგ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაძლიერებს იმპერიალიზმის პოზიციებს. ამ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ გაიღრმავოს მისი წინააღმდეგობანი მთელი მსოფლიოს ხალხებთან და წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ ჯგუფებს შორეთან. ამ პოლიტიკას გადამწყვეტ წინააღმდეგობას გაუწევენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მთელი პატრიოტული ძალები, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალები და სოციალისტური ძალები. პირიქით, სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ამ ქვეყნებს შორის სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება, დიდმნიშვნელოვან შედეგებს მოიტანენ და კიდევ უფრო გაამრავლებენ მათს ძალებს. სოციალისტური ქვეყნების ეს ურღვევი მეგობრობა და დარაზმულობა არის ყველა ბნელი იმპერიალისტური გეგმის განადგურების დიდმნიშვნელოვანი გარანტია და კაცობრიობის პროგრეს

დეპუტატები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტში ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სახელოვანმა მეშახტემ ე. ცნობილაძემ.

დეპუტატმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ახორციელებენ მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ტყიბულში ააშენეს მეშახტეთა მრავალი საცხოვრებელი სახლი, გაიყვანეს კეთილმოწყობილი გზები, გაამწვანეს ქუჩები, მოაწყეს გაზონები. მეშახტეთა ბავშვებისათვის გაიხსნა ახალი საავადმყოფო, აშენდა საშუალო სკოლის შენობა და სხვ.

სიტყვებით გამოსულმა ამომრჩევლებმა მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებზე ილაპარაკეს და მრავალი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს.

— ჩვენი შახტის ტერიტორიაზე, — თქვა ცვლის უფროსმა ა. გელაძემ, — მოუგვარებელია სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახლადგაყვანილ წყალსადენის ქსელს მრავალი ნაკლი აქვს, ხოლო დეფექტების აღმოფხვრისათვის ნაკლებად ზრუნავენ. ამ საქმის მოგვარებაში დეპუტატი უნდა დაგვეხმაროს. მან ილაპარაკა აგრეთვე სტანდარტული ხის სამაგრი მასალით საექსპლოატაციო უბნების მომარაგებაში არსებულ შეფერხებებზე და სთხოვა დეპუტატს ამ საქმესაც მიაქციოს ყურადღება.

— ჩვენს შახტში სისტემატურად ფართოვდება მიწისქვეშა სამუშაოთა მოცულობა, მატულობს ქვანახშირის ამოღება. ამის შესაბამისად იზრდება მეშახტეთა რიცხვი. ამიტომ არის, რომ არსებული სამშახტო ბანო ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ბანოში ხშირად სანგრევებიდან ამოსულ მეშახტეთა დიდი რიგი დგას. დეპუტატმა ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს, — განაცხადა ამომრჩეველმა გ. ლოლაძემ.

ამომრჩეველმა ა. ლდოკოვმა მოითხოვა კალინინის ქუჩის გაფართოება, წყალსადენი არხების წესრიგში მოყვანა, ხიდბოგირების აგება, მეშახტეთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფისა და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისადმი ყურადღების გაძლიერება.

* * *

ამბროლაური. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ასეთი მკაცრი ზამთარი კარგახანია არ ყოფილა ჭრებალოში. თოვლით დაფარულ ბილიკებზე კოლმეურნეები მიიჩქარიან სასოფლო ბიბლიოთეკისაკენ. იქ უნდა შეხვდნენ თავიანთ რჩეულს, სასოფლო საბჭოს დეპუტატს, მოწინავე კოლმეურნეს სეით კიბაბაძეს.

ს. კიბაბაძეს არა მარტო ჭრებალოში, არამედ მთელ რაიონში სცემენ პატივს როგორც შრომისმოყვარე, გამრჯე კოლმეურნეს. მისთვის მიმაგრებული ვენახი ყოველთვის სანიმუშოდ მოვლილი და მაღალმოსავლიანია. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, ს. კიბაბაძემ წელსაც დიდად გადააჭარბა ყურძნის მოსავლიანობის გეგმას.

დეპუტატმა ს. კიბაბაძემ ამომრჩევლებს მოუთხრო სასოფლო საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. უკანასკნელ წლებში სოფელი დამშვენდა მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლით, გაიყვანეს სასმელი წყალი, მოაასფალტეს სოფლის ცენტრი, ააგეს სოფლის კოოპერატივის ახალი შენობა კეთილმოწყობილი სათავსებით და სხვ.

მიმდინარე წელს დაიწყება მდინარე რიონზე ხიდის მშენებლობა. ეს ხიდი ერთმანეთთან დააკავშირებს სოფლებს ჭრებალოს, ღადიშსა და პატარა ონს.

კრებაზე გამოსულმა ამომრჩევლებმა გააკრიტიკეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, წამოაყენეს ბევრი საყურადღებო წინადადება, რომელთა განხორციელება გააუმჯობესებს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

ამომრჩევლებმა ო. ფრუიძემ და მ. ლექავამ ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა შეუწყნარებლად გაჭიანურდა სასოფლო კლუბის რემონტი, სამი თვეა არ მუშაობს კინოდანადგარი, დადუმებულია რადიოკვანძი.

— ჩვენი სოფლის სამუალო სკოლა შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული, — თქვა ამომრჩეველმა ა. ფრუიძემ. — ეს იციან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროშიც, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭიროა შეხსენება, და ამ საქმეში ჩვენი დეპუტატი უნდა დაგვეხმაროს.

— ჭრებალოს საავადმყოფოს შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, გადაუდებელ რემონტს საჭიროებს, — განაცხადა ამომრჩეველმა ს. ახვლედიანმა.

დეპუტატმა ს. კიბაბაძემ ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ ეცდება მიაღწიოს მათი სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

* * *

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოფელ ბორითში ამომრჩევლების წინაშე ანგარიშით წარდგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ორჯონიკიძე.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ უბისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. სახვაძე, კოლმეურნეები ა. კურტანიძე, ქ. ამაშუკელი და სხვები. მათ წამოაყენეს წინადადებანი ბორით-ამაშუკეთის დასაკავშირებლად მდინარე ძირულაზე ხიდის აგების, ორჯონიკიძე-ხევის მიმართულებით სამგზავრო ავტობუსის მარშრუტის დანიშვნის, სოფელ ბორითში რადიოქსელის შეკეთებისა და ელსადგურის უმოკლეს ვადაში ამოშავების შესახებ და სთხოვეს დეპუტატს იზრუნოს ამ საკითხების მოგვარებისათვის.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი კმაყოფილებით შეხვდნენ მას.

ბოლო დრომდე საზოგადოებრივი წესრიგისა და მყუდროების დამრღვევნი პირები, რომლებიც იჩენენ მოქალაქეებისადმი შეურაცხმყოფელ უპატივცემლობას, ხმარობენ უწმაწურ სიტყვებს და სჩადიან სხვა უხამს საქციელს, დაუსჯელი რჩებოდნენ. პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისათვის კანონით არ იყო გათვალისწინებული. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა საქმეებს განიხილავდნენ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

ახლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა, რომ წვრილმანი ხულიგნობა გამოიწვევს პატიმრობას ვადით 3-დან 15 დღეღამემდე, თუ ხულიგნური მოქმედება თავისი ხასიათით არ უნდა ისჯებოდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 მუხლის მიხედვით. სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი ითვალისწინებს დამნაშავეთა მიცემას უფრო მკაცრ პასუხისგებაში.

საუბარი საქართველოს სსრ პროკურორთან

ამხ. მ. ე. თოფურიძესთან

გამოცემული ბრძანებულება ხელს შეუწყობს წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. მილიციის მიერ სასამართლოში გადაცემულ საქმეებს ხულიგნობის შესახებ ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე მსჯულთა დაუსწრებლად დღეღამის განმავლობაში. სახალხო მოსამართლის დადგენილება წვრილმანი ხულიგნობისათვის კონკრეტულ დამნაშავეთა პატიმრობის შესახებ სრულდება დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულთ მოათავსებენ წინასწარი პატიმრობის კამერებში მილიციის რაიონულ განყოფილებებთან ან საპატიმროში. დაპატიმრებულნი საპატიმროს ადმინისტრაციის ან რაიონული საბჭოს აღმასკომის მითითებით გამოყენებულ უნდა იქნან ფიზიკურ სამუშაოზე.

მილიციის რაიონულ განყოფილებათა უფროსებს ევალებათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დაპატიმრებისას აცნობონ ამის შესახებ მის მახლობლებს და ამავე დროს აცნობონ სამუშაოს ადგილზე. ხელფასი პატიმრობის განმავლობაში იმ პირებს, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემული წვრილმანი ხულიგნობისათვის, არ მიეცემათ. იმ პირები, რომლებიც სასჯელი მოიხადეს ახალი ბრძანებულების მიხედვით, არ ჩაითვლებიან ნასამართლევებად და ინარჩუნებენ ადგილსა და მუშაობის სტაჟს.

ბრძანებულება „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკებს. მათ მტკიცედ უნდა დაიცვან კანონი, ზუსტად უნდა შეასრულონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მოთხოვნები. მილიციის მუშაკებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წესრიგის დამრღვევთა მოქმედება განხილულ იქნას კრებებზე, დაგმობილ იქნას ფართო საზოგადოებრიობის მიერ. ყოველივე ამას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა იქნება და საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. (საქდესი).

გარაჟიანი მოსავლისათვის



ნათელი ხვალინდელი დღის მკაფიო პერსპექტივები აქვთ სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას და, აქაურ მშრომელებს.

სოფლის ცენტრში საძირკველი ჩაეყარა კულტურის სასახლის მშენებლობას. დაიწყო სოფლის ელიქტროფიკაციის სამუშაოები. მალე აინთება ილიჩის ნათურები. მიმდინარეობს მეძროხეობის ფერმაში შრომატევად სამუშაოთა სრული მექანიზაცია.

წილკანში ახალი ძალით იგრძნობა საკოლმეურნეო სოფლის მაჯისცემა. სიხარულს განიცდიან სოფლის მშრომელები, როცა თვალს ავლებენ სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებს. კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით საშუალოდ ჰექტარზე მოყვანილია ნახევარი ცენტნერი ხორბალი, 10 ცენტნერი ქერი, 12,6 ცენტნერი სიმინდი. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 2.626 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.080 კილოგრამისა. დეკემბერში გაასუქეს 90 ღორი და სახელმწიფოს ჩააბარეს 48 ცენტნერი ხორცი.

წილკნელი კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ. მათ თვითეულ შრომადღეზე ავანსად უკვე მიიღეს 6,5 კილოგრამი მარცვლეული.

ახლა კოლმეურნეობაში გაჩაღებულია მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის — 1957 წლის საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადება.

— ჩვენი კოლმეურნეობის ეკონომიკაში სიმინდს, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. პაპავაძე, — წამყვანი ადგილი უჭირავს. ის მარცვლეულის მთელი მოსავლის 60 პროცენტს შეადგენს. კოლმეურნეობაში დიდ ინტერესს იჩენენ სიმინდისადმი. საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის მზადებას ამთავითვე დიდ ყურადღებას ვუთმობთ, თესვისათვის ვარჩევთ საუკეთესო სათესლე მასალას, ვზრუნავთ ნიადაგის ნაყოფიერების ზრდისათვის.

მომავალ წელს 60 ჰექტარზე უნდა ვაწარმოოთ ჰიბრიდული თესლის გამოყვანა ნაცვლად წლევანდელი 12 ჰექტარისა. საამისოდ ყველაზე საუკეთესო ნაკვეთი შევარჩიეთ.

შემდეგ ამხ. პაპავაძემ მაგიდაზე გადაშალა კოლმეურნეობის რუკა.

— ამ ნაკვეთს, — განაგრძო მან, — აქაურები „ჭილაანთ სათიესეს“ ეძახით — ორმოცი ჰექტარია. ოცი ჰექტარი კიდევ „ნაბაღრებში“ გვაქვს. აქ ვფიქრობთ სიმინდის ჰიბრიდული თესლის გამოყვანას. „ტყის ბოლოებში“ და „გედევანაანთ მიწებში“ სამარცვლედ დავთესავთ სიმინდს. სულ კი გაზაფხულზე 260 ჰექტარი სიმინდი დაითესება. აქედან 20 ჰექტარს მწვანე კონვეიერად გამოვიყენებთ, 70 ჰექტარს კი სასილოსედ ავიღებთ ცვილისებრ სიმწიფეში.

დავთესავთ საკუთარი წარმოებით მიღებულ სიმინდის ჰიბრიდულ თესლს, აგრეთვე „ქართულ № 1“ და „ქართულ კრუგს“, რომლებიც ჩვენს პირობებში ყველაზე კარგ შედეგებს იძლევიან. დიდ ფართობს დავთესავთ პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად. 1957 წელს ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 55 ცენტნერი სიმინდი.

* * *

ხალისიანად მუშაობენ მცხეთის მტს-ის თესლის კონტროლის ლაბორატორიაში. რაიონის კოლმეურნეობებიდან ყოველდღე მოაქვთ თესლის ნიმუშები შესამოწმებლად სიწმინდესა და აღმოცენებაზე. ლაბორატორიის მუშაკები ეხმარებიან კოლმეურნეობებს გაზაფხულზე დასათესავად მაღალხარისხოვანი თესლის შერჩევაში.

ლაბორატორიაში რაიონის კოლმეურნეობებს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო მარცვლეულის თესლის ნიმუშები წარმოდგენილი აქვთ ორჯერ მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მიღებული ნიმუშების პირველი შემოწმება მთლიანად დამთავრებულია.

ლაბორატორიაში დანერგილია სიმინდის აღმოცენებაზე შემოწმების ახალი წესი.

— თუ აქამდე სიმინდის თესლის აღმოცენების უნარის დადგენას, — გვეუბნება ლაბორატორიის გამგე ქ. წულეისკირი, — 7 დღე სჭირდებოდა, ამ მეთოდის გამოყენებით მხოლოდ ერთი დღე-ღამეა საჭირო.

* * *

მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური განუწყვეტლივ ივსება ახალი ტექნიკით. ამას წინათ აქ მიიღეს „ბელარუსის“ მარკის ორი ტრაქტორი, „დტ-24“ მარკის და „დტ-14“ მარკის თითო-თითო ტრაქტორი, ორი ვიწრომწკრივიანი სათესი მანქანა, ოთხი კულტივატორი.

— ახლა სამუალები გვაქვს, — ამბობს მტს-ის დირექტორი ა. კაჭარავა, — ამ გაზაფხულზე კოლმეურნეობებს სუფრის ჭარხალი, ხახვი, სტაფილო მთლიანად მანქანებით დავუთესოთ. ამ საქმეზე გამოვიყენებთ ახალმიღებულ „დტ-24“ და „დტ-14“ მარკის ტრაქტორებს. გეგმით გათვალისწინებული 810 ჰექტარის ნაცვლად კვადრატულ-ბუდობრივად დავთესავთ 1.000 ჰექტარ სიმინდს ანუ მთელი ფართობის 85 პროცენტს.

* * *

მუხრანის ველზე ზამთარია. მაგრამ მინდვრად მუშაობა არ შეწყვეტილა. მიმდინარეობს ახალი ვენახების, ბაღების გაშენება, ძველი ბაღ-ვენახების დამუშავება.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათებზე: ზემოთ — მცხეთის მტს-ის სახელოსნოს გამგე ს. ვარძიგულოვი (მარცხნივ), პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ვ. მჭედლიშვილი, მტს-ის დირექტორი ა. კაჭარავა იღებენ ახალი მარკის ტრაქტორებს. ქვემოთ — მცხეთის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგე ქ. წულეისკირი (მარცხნივ), ლაბორანტები თ. ფოცხვერიშვილი, ა. არეშოვა ამოწმებენ სოფელ წეროვნის კოლმეურნეობიდან წარმოდგენილი სიმინდის თესლის აღმოცენების უნარს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ხელოვნების ქრონიკა

ახალი სპექტაკლი

მიმდინარე სეზონის მორიგ პრემიერად რუსთაველის სახელობის თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა დრამატურგ კ. ბუაჩიძის კომედია „ეზოში ავი ძაღლია“.

სპექტაკლის ავტორები არიან ახალგაზრდა რეჟისორი გურამ პატარაია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, ახალგაზრდა კომპოზიტორი ბ. კვერნაძე და ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თოიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ჩახავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ზაქარიაძე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ს. ყანჩელი, მსახიობები ვ. დოლიძე, ნ. ჩხეიძე, ლ. ღამბაშიძე, ე. საყვარელიძე, ნ. ფალიაშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ი. ტყავაძე, კ. საკანდელიძე, გურ. სალარაძე, ი. ჯინჯიხაძე, ნ. მარგველაშვილი, ო. ცერცვაძე.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ჭარბოულმა თეატრმა მორიგ სპექტაკლად ნორჩ მაყურებელს უჩვენა ოსი დრამატურგის დ. ტუაევის პიესა-ზღაპარი „ოქროს კავჭჩრიანები“. პიესის თარგმანი ეკუთვნის ნ. კვეღლიშვილს, დადგმა რევაზ ჭარხალაშვილს, მხატვრობა შ. ეორეოლაძეს, კომპოზიტორია შ. ჯოჯუა, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი, ფარიკაობა დადგა კ. ბადრიძემ.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ვ. არეშიძე, ირ. დონაური, ა. ღვინიაშვილი, ა. კაჭკაჭიშვილი, გ. დეისაძე, მსახიობები გ. რევაზიშვილი, ლ. ძიგრაშვილი, ხ. გაბისონია, დ. ძნელაძე, რ. ხუციშვილი, ა. კოკალეიშვილი, ა. თედიაშვილი, ლ. ფერაძე, ვ. ივანიძე, რ. აბულაძე, ც. ქიტაიშვილი, ი. ელისაშვილი, თ. ფარცხალაძე და სხვ.

„დავით გურამიშვილი“

ბიათურა. (საკ. კორ.). ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა შ. დადიანისა და რ. ქორქიას პიესა „დავით გურამიშვილი“. სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. ნუცუბიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები მ. ვაშაძე და გ. ტყაბლაძე, მსახიობები — ა. ბარათაშვილი, ა. მოსაშვილი, ა. დათუნაშვილი, მ. კუსიანი, ბ. დურმიშიძე და სხვები.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა.

კულტურის სახლის ათი წლისთავი

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამ დღეებში რაიონის მშრომელებმა აღნიშნეს რაიონული კულტურის სახლის არსებობის 10 წლისთავი. კულტურის სახლის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამბროლაურის რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ გ. გოგობერიშვილმა. შემდეგ კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა გამართა კონცერტი.

დრამატულმა კოლექტივმა დამსწრეთ უჩვენა სცენები კულტურის სახლში ათი წლის მანძილზე დადგმული პიესებიდან — „ხევის ბერი გოჩა“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „რევიზორი“, „ღალატი“, „სამშობლო“, „რაიკომის მდივანი“, „გულსუნდა“, „პატარა კახი“ და „არსენა“.

გავაუმჯობესოთ კოჯრის სკოლა-ინტერნატის მუშაობა

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მოზარდი თაობის აღზრდის საქმის უფრო უკეთ და სრულყოფილად დაყენების მიზნით მიმდინარე სასწავლო წლიდან მთელ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ახალი ტიპის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულების — სკოლა-ინტერნატების ფართო ქსელი.

მეტად დიდი და საპატიო ამოცანები დგას ამ ახალი ტიპის საბავშვო დაწესებულებების წინაშე. ახლადგახსნილი სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელების, აღმზრდელების, მთელი პედაგოგიური კოლექტივის ვალი იყო უპირველეს ყოვლისა შეექმნათ სკოლაში საუკეთესო პირობები ნორჩი თაობის სწავლისა და აღზრდისათვის, მათი ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის, შინაარსიანი, მიმზიდველი და საინტერესო გაეხადათ აღსაზრდელთა ცხოვრება, ჩამოეყალიბებინათ მათგან მტკიცე, მჭიდრო კოლექტივი.

მაგრამ ამ პირველი რიგის ამოცანათა ნაწილობრივად განხორციელებაც ვერ შეძლო კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობამ. მან ვერ დარაზმა სკოლა-ინტერნატის მუშაკთა კოლექტივი სიძნელეების დასაძლევად, ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

აღმზრდელობითი მუშაობის მეტად დაბალ დონეს თავიდანვე შედეგად მოჰყვა მოსწავლეთა სკოლიდან გაპარვისა და სასკოლო რეჟიმის დარღვევის მრავალი შემთხვევა. ზემდგომი ორგანოების და პრესის არა ერთი მითითების, მშობლთა გულისწყრომის მიუხედავად, კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კოლექტივი შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენდა ამ არანორმალური მოვლენებისადმი.

კოჯრის სკოლა-ინტერნატის ზოგიერთი აღმზრდელი არა დგას მოწოდების სიმაღლეზე. ისინი ზოგჯერ ავლენენ აღმზრდელისათვის ყოვლად გაუმართლებელ და შეუფერებელ ქცევას. აღმზრდელმა რ. თაყაიშვილმა მოსწავლე გოგონებთან უტაქტო მოქმედებით შელახა თავისი და მთელი სკოლის ავტორიტეტი. ბავშვებთან დამოკიდებულებაში წინდაუხედაობა და უტაქტობა გამოიჩინა აგრეთვე აღმზრდელმა გოცირიძემ. ბავშვებისადმი გულგრილობასა და უხეშ დამოკიდებულებაში შემჩნეული არიან აღმზრდელები ნ. მინდაძე და გ. პოპიაშვილი. უფროსი აღმზრდელი ნ. ურუშაძე აღმზრდელთა მუშაობას არ უდგას სათავეში, არ ახორციელებს მათზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს. იგი არ აწყობს საუბრებს აღმზრდელებთან, არ აცნობს მათ აღმზრდელობითი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს.

ინტერნატში ნაკლებად ზრუნავენ კლასგარეშე მუშაობის გაშლისათვის, თავს არ იწუხებენ, რათა ჩააბან ბავშვები საგნობრივი და ტექნიკური წრეების მუშაობაში მათი ინტერესებისა და მიდრეკილებათა გათვალისწინებით, შეაჩვიონ ისინი შრომას.

რამდენად შინაარსიანსა და მიმზიდველს გახდიდა ინტერნატის აღსაზრდელთა ცხოვრებას ლიტერატურული საღამოები და მკითხველთა კონფერენციები, მხატვრული თვითმოქმედებისა და გონივრული გართობის საღამოები, სპორტული შეჯიბრებები, ექსკურსიები და ლაშქრობები, საინტერესო პიონერული შეკრებები, შეხვედრები ლიტერატურის, ხელოვნების, წარმოების მოწინავე ადამიანებთან, ბავშვთა თვითმოქმედებისა და ნაკეთობათა გამოფენები!

მაგრამ ბავშვებისათვის მიმზიდველ ყველა ამ ღონისძიებათა მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭიროა ინტერნატში იყვნენ ინიციატივიანი, ახლის ძიების უნარით აღჭურვილი, ბავშვთა შორის მუშაობის მოყვარული ადამიანები. ინტერნატის მუშაკთა კოლექტივმა არათუ ვერ შეძლო ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმის მაღალ დონეზე დაყენება, შინაარსიანი კლასგარეშე მუშაობის გაშლა, არამედ მან ვერ შეუქმნა ბავშვებს ცხოვრების რამდენადმე შესაფერი პირობები.

კოჯრის სკოლა-ინტერნატში პირველივე თვეებიდან სრული ანტისანიტარია სუფევდა. მოუგვარებელი იყო თეთრეულის რეცხვისა და გამოცვლის, დაწესებულ ვადებში მოსწავლეთა აბანოში გატარების საქმე. აბანოში არ იყო დაწესებული მეთვალყურეობა და ზედამხედველობა. ინტერნატში მოწესრიგებული არ იყო მოსწავლეთათვის ხელ-პირის ყოველდღიური დაბანაც კი, მიუხედავად იმისა, რომ პირსაბანები სკოლას შეძენილი ჰქონდა. ზოგიერთ კორპუსში მცხოვრები ბავშვები ორნახევარი თვის მანძილზე არ იყვნენ უზრუნველყოფილნი ხელის საპნით, კბილის ჯაგრისითა და ფხვნილით.

სკოლა-ინტერნატის ყოფილმა დირექტორმა ტ. მგალობლიშვილმა ნაცვლად იმისა, რომ ეხრძოლა მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებისა და სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, გამოიჩინა შეუფერებელი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი. მას უხელწერილოდ და სათანადოდ გაუფორმებლად პირადი სარგებლობისათვის გატანილი ჰქონდა სხვადასხვა რბილი და მაგარი ინვენტარი, მათ შორის რადიომიმღები, მაცივარი და სხვ., რომელთა ღირებულება სულ 7.500 მანეთს შეადგენს. ტ. მგალობლიშვილმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანების მიუღებლად, სკოლა-ინტერნატში ინგლისური ენის მასწავლებლად დანიშნა თავისი ქალიშვილი — თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, ხოლო მეორე შვილი ჩარიცხა აღსაზრდელად.

სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა არავითარ კონტროლს არ ახორციელებდა დაწესებულების ქონების დაცვაზე. აქ ადგილი ჰქონდა ინტერნატის ქონების განიავებისა და დატაცების შემთხვევებს, აგრეთვე სერიოზულ დარღვევებს სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში. საწყობიდან უფაქტუროდ გაიცა 87.000 მანეთის მაგარი და რბილი ინვენტარი. სრულიად არ წარმოებდა მეთვალყურეობა სასადილოს ინვენტარის დაცვაზე, რამაც ხანმოკლე დროის მანძილზე გამოიწვია ჭურჭლის დანაკლისი.

სამზარეულოდან პროდუქტების გაცემა ხშირად არ შეესაბამებოდა აღსაზრდელთა ფაქტიურ რაოდენობას, რის შედეგადაც ზედმეტად არის დახარჯული 6.000 მანეთამდე ღირებულების პროდუქტები.

ინტერნატის ყოფილი დირექტორი ტ. მგალობლიშვილი არ ახორციელებდა კონტროლს ბავშვთა კვებაზე, იგი ხშირ შემთხვევაში არ ამტკიცებდა მენიუს; მან ნება მისცა თავს გაეცა განკარგულება აღმზრდელთა უფასო, სახელმწიფო კვებაზე აყვანის შესახებ, რაც უკანონობის ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

კოჯრის სკოლა-ინტერნატში არსებული დანაშაულობანი, დარღვევები და დამახინჯებანი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მსჯელობის საგნად იქცა და დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი ინტერნატის მუშობის ძირფესვიანად გარდასაქმნელად.

სკოლა-ინტერნატში მუშობის ჩაშლისა და სერიოზული ფინანსური დარღვევებისათვის ინტერნატის დირექტორი ტ. მგალობლიშვილი და სამეურნეო დარგის რამდენიმე სხვა მუშაკი მოიხსნა სამუშაოდან, გადახალისდა აღმზრდელთა და პედაგოგთა შემადგენლობა, მკაცრი სასჯელი დადო უფროს აღმზრდელს ნ. ურუშაძეს და ზოგიერთ აღმზრდელს, ხოლო ინტერნატში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა საქმეში დამნაშავეთა გამოსავლინებლად მასალები გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

კოჯრის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობა გაკვეთილი უნდა იყოს ამ ინტერნატის როგორც ახალი ხელმძღვანელების, ისე რესპუბლიკის დანარჩენი სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელებისა და მუშაკებისათვის.

ელ. აგლაძე.

ალბანელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

დღეს სრულდება თერთმეტი წელი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადებიდან.

მშობლიური კომუნისტური პარტიის (ახლა ალბანეთის შრომის პარტია) ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ძმური დახმარებით ალბანეთმა მოკლე პერიოდში დაადწია თავი საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას და განვითარების დიდი გზა განვლო.

ალბანეთის სახალხო მეურნეობის ორწლიანი გეგმის (1949-1950) განხორციელებით უზრუნველყოფილ იქნა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის (1951-1955) წარმატებით განხორციელებამ უზრუნველყო რესპუბლიკის ძირითადი საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტა — მისი გადაქცევა ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში შეიქმნა ახალი მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა. მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური, ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიერო კომბინატი, ენვერ ხოჯას სახელობის მექანიკური ქარხანა, შაქრის, ცემენტის, შუშის ქარხნები. აგებულია მთელი რიგი სასოფლო ელექტროსადგურები. ახლა თვითეული სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდებულია 25-ჯერ.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1955 წელს 1938 წლის დონესთან შედარებით გადიდდა 10,5-ჯერ, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება — 26-ჯერ. 1956 წელს ალბანეთმა მიიღო ომამდელ პერიოდთან შედარებით 60-ჯერ მეტი ქვანახშირი, 18-ჯერ მეტი ქრომი, 1,5-ჯერ მეტი ნავთობი, 10-ჯერ მეტი ელექტროენერგია, 35-ჯერ მეტი დახრახილი მასალა, 7-ჯერ მეტი ცემენტი.

თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული სოფლად. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 37 პროცენტით: ნათესი ფართობები გაიზარდა 13 პროცენტით. დაინერგა და ფართოდ ვითარდება ახალი კულტურები: ბამბა, შაქრის ჭარხალი და სხვ.

სოფლის მეურნეობის აღმავლობას ხელს უწყობს მისი გარდაქმნა სოციალისტურ მეურნეობად. საბჭოთა კავშირისა და მომმე რესპუბლიკების დახმარებით მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები პრაქტიკულად უმტკიცებენ ალბანელ გლეხებს მეურნეობის ამ ფორმის დიდ უპირატესობას. ამჟამად ალბანეთში 750-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საფუძველზე განუხრელად იზრდება ნაციონალური შემოსავალი. პირველი ხუთწლედის წლებში იგი დაახლოებით 70 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში მუშების რეალური ხელფასი გადიდდა დაახლოებით 20 პროცენტით, ხოლო გლეხების შემოსავალი დაახლოებით 35 პროცენტით. ომისშემდგომ პერიოდში სამჯერ შემცირდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები.

1956 წლის მაისში შედგა ალბანეთის შრომის პარტიის III ყრილობა, რომელმაც შეაჯამა პირველი ხუთწლედის შედეგები და დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის (1956-1960) დირექტივები.

მეორე ხუთწლედის ძირითადი ამოცანაა მრეწველობის, პირველ რიგში მადნეულის მრეწველობის შემდგომი განვითარება, სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

მეორე ხუთწლედის ბოლოს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავალი 1955 წლის დონესთან შედარებით გადიდდება 53 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გაიზრდება 25 პროცენტით, გლეხების შემოსავალი — 38 პროცენტით.

ალბანელი ხალხი ამაყობს სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებით. იგი მტკიცედ დგას სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკში, ენერგიულად იბრძვის საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. სულ უფრო იზრდება ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი. დაახლოებით ერთი წლის წინათ იგი წევრად იქნა მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ალბანელი ხალხი ფხიზლად ადევნებს თვალს რეაქციის ძალთა ფანდებს, ნიღაბს ხდის და ანადგურებს სახალხო რესპუბლიკის ვერაგმტრებს, მაღლა უჭირავს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ძმობის დროშა. იგი მიემართება სოციალიზმის ნათელი გზით და დარწმუნებულია, რომ ეს გზა ხალხთა ხსნისა და ბედნიერების ერთადერთი სწორი გზაა.

• • •

სურათზე: ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი ტირანა.

ფოტო ვ. შაროვსკისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის მომავალი გამგზავრება უნგრეთში

პეკინი, 9 იანვარი. (საკადესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის მომავალი გამგზავრების შესახებ უნგრეთში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების მიზნით უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი მიიწვია მეგობრული ვიზიტი გაუკეთოს უნგრეთს. პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ ეს მიწვევა მიიღო და უნგრეთში ჩავა მომდინარე წლის იანვრის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს ეწვევა.

საფრანგეთის მთავრობის დეკლარაცია ალჟირის საკითხზე

პარიზი, 9 იანვარი. (საკადესი). დღეს მთავრობის მეთაურმა გი მოლემ ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტების წინაშე გამოაქვეყნა ეგრეთწოდებული „დეკლარაცია განზრახვათა შესახებ“ ალჟირის მომართ. მაგრამ ამ ვრცელ დოკუმენტში, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება, ახალი არაფერია. საკითხებს, რომლებიც ასე თუ ისე შუქდება დეკლარაციაში, უკვე ეხებოდნენ გასულ წელს.

პირველი ნაწილი „დეკლარაციისა განზრახვათა შესახებ“, რომელიც განკუთვნილია სპეციალურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, აღნიშნავს, თითქოს იყო „უცხოთის ჩარევა“ ალჟირის კონფლიქტში.

მეორე ნაწილში კვლავ ცხადდება მთავრობის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ალჟირას საკითხში. აქ ჩამოთვლილია აგრეთვე განხორციელებული რეფორმები ან ისეთი რეფორმები, რომლებსაც ახლა ამზადებენ და რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ალჟირის მომავალი სტატუტი. მაგრამ თვით სტატუტის შესახებ დეკლარაციაში არავითარი მითითება არ არის და მხოლოდ ნათქვამია, რომ იგი უნდა შემუშავდეს საფრანგეთის მთავრობისა და მუსლიმანური და ევროპელი მოსახლეობის წარმომადგენლების მოლაპარაკების მსვლელობაში. ეს წარმომადგენლები არჩეულ უნდა იქნან ალჟირში „თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების“ შედეგად. გი მოლეს მთავრობა იმეორებს წინათ წამოყენებულ წინადადებას ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ „წინასწარი პოლიტიკური პირობების“ წამოუყენებლად. ამ პირობებით იგულისხმება ალჟირელი ხალხის მოთხოვნა მისთვის ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

„დეკლარაციის“ მესამე ნაწილის მიზანია დაამტკიცოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „კომპეტენტური არ არის“ ალჟირის საკითხში. საფრანგეთის მთავრობა აცხადებს, რომ ეს საკითხი ეკუთვნის საფრანგეთის „მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ კომპეტენციას“.

დეკლარაციაში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ „საფრანგეთი არასოდეს არ დატოვებს ალჟირს“.

პოლიტიკურ მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, მთავრობის დეკლარაცია, რომელიც არავითარ ახალ დებულებას არ შეიცავს და ალჟირის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგების გზებს არ სახავს, განკუთვნილია მხოლოდ იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალჟირის საკითხის განხილვის წინ.

ადნ-ის სააგენტოს განცხადება

ბერლინი, 9 იანვარი. (საკადესი). დღეს ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა განცხადება იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ უნგრელ ლტოლვილებს, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში იმყოფებიან და სურთ დაბრუნდნენ სამშობლოში, ყოველგვარ დაბრკოლებას უქმნიან დასავლეთ გერმანიის ხელისუფლები, რისთვისაც ძალის გამოყენებასაც კი არ ერიდებიან. ხელს უშლიან რა ლტოლვილთა დაბრუნებას უნგრეთში, დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი აცხადებენ, თითქოს ავსტრიის ხელისუფალნი უარს ამბობენ გაატარონ ისინი ავსტრიის ტერიტორიაზე.

როგორც აღნიშნულია განცხადებაში, ადნ-ის სააგენტომ საქმეს გაცნობილი წრეებისაგან გაიგო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველგვარ დაუბერს მხარს ამ უნგრელ მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ დაბრუნდნენ სამშობლოში დასავლეთ გერმანიიდან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით, რათა იქ ხელი მოჰკიდონ მშვიდობიან შრომას.

ინგლის-თურქეთის შეთანხმება კვიპროსის შესახებ

სტამბოლი, 9 იანვარი. (საკადესი). გაზეთები „ჰავადისი“ და „ჯუმჰურიეთი“ იმოწმებენ რა დაინტერესებულ წრეებს, იუწყებიან, რომ ორი კვირის წინათ ანკარაში თურქეთისა და ინგლისს მთავრობებს შორის მიღწეულია შეთანხმება კვიპროსის შესახებ. შეთანხმებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება კუნძულის გაყოფის შესახებ საბერძნეთისა და თურქეთის შორის, ინგლისი მოითხოვს, რომ კვიპროსზე მდებარე მისი სამი სამხედრო ბაზის ტერიტორია თურქეთს მიეცეს.

თუ ვერ მოხერხდება ამ ტერიტორიის თურქეთისათვის გადაცემა, წერს გაზეთი „ჯუმჰურიეთი“, მაშინ ინგლის-თურქეთის შეთანხმების შესაბამისად, ინგლისი თავის სამხედრო ბაზებს კვიპროსზე კუნძულის საბერძნეთის ნაწილიდან გადაიტანს თურქეთის ნაწილში.

ინგლისის აგრესია იემენის წინააღმდეგ

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იემენის საქმეთა რწმუნებულის განცხადება

ბონი, 9 იანვარი. (საკადესი). იემენის საქმეთა რწმუნებულმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ელ-ბაიდანმ შემდეგი განცხადება გაუკეთა დასავლეთ გერმანიის გაზეთ „დი ველტს“.

„მდგომარეობა იემენის საზღვარზე მწვავდება: გაძლიერდა ინგლისის თვითმფრინავების საჰაერო თავდასხმა იემენის ქალაქებზე ჰარიბზე, ქითაბასა და ელ-ბეიდაზე. ინგლისს სახმელეთო ჯარები ტანკების დახმარებით თავს ესხმიან იემენის დასაყრდენ პუნქტებს და სამოქალაქო მოსახლეობას იემენის ტერიტორიაზე და ადენის რაიონში, რათა ჩაახშონ მღელვარება ეგრეთწოდებულ „ბრიტანეთის პროტექტორატებში“.

როგორც შემდეგ გაზეთი „დი ველტი“ აღნიშნავს, იემენის საქმეთა რწმუნებულმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს ყველა ქვეყანას თხოვნით გამოგზავნონ მოხალისენი, რათა დახმარება გაუწიონ იემენს და განდევნონ ინგლისელი აგრესორები.

ნეკროლოგი

გ. გ. ბახტაძე

ინგლისელი და ამერიკელ ოკუპანტთა ბრბოს მიერ გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ გიორგის-ძე ბახტაძე.

გ. გ. ბახტაძე დაიბადა 1916 წელს სოფელ დაბა ხონში გლეხის ოჯახში. 1936 წელს დამთავრა წულუკიძის მექანიზატორთა ტექნიკუმი და 1938 წლამდე მუშაობდა ჯერ გალის მტს-ის ბრიგადირად, მექანიკოსად, ხოლო შემდეგ წულუკიძის ავტოსატრაქტორო სკოლის ტექნიკოსინსპექტორად. შემდეგ იგი შევიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დამთავრა 1941 წელს.

1941 წელს გ. გ. ბახტაძე სკკპ რიგებში შევიდა.

1941-დან 1945 წლამდე გ. გ. ბახტაძე მამაცურად იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, იცავდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ბარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს გ. გ. ბახტაძის გმირობას. 1943 წელს მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“. იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ გ. გ. ბახტაძე გაგზავნა ხელმძღვანელ სამუშაოზე ამერკავკასიის რკინიგზის სისტემაში. 1946-დან 1949 წლამდე მუშაობდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მუშათა მომარაგების სამმართველოს უფროსად, 1949-დან 1953 წლამდე — საქკოოპინკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ. საქკოოპინკავშირის რეორგანიზაციის შემდეგ გ. გ. ბახტაძე დაინიშნა საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს უფროსად, სადაც მუშაობდა უკანასკნელ დრომდე.

მუშაობის ყველა პოსტზე და დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გ. გ. ბახტაძე ყოველთვის პატიოსნად და თავდადებულად ემსახურებოდა თავის ხალხს, სოციალისტურ სამშობლოს. თავისი თავმდაბლობითა და უბრალოებით, შრომელიერი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით გ. გ. ბახტაძემ ღირმა პატივისცემა მოიპოვა ყველა იმათ შორის, ვინც იცნობდა მას ერთად მუშაობით და ჩვენი სამშობლოს უბოროტესი მტრების — გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ ერთად ბრძოლით.

გრიგოლ გიორგის-ძის ბახტაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ლ. იაშინი — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვში

საფრანგეთის ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ ევროპის წამყვან სპორტულ ჟურნალისტებს — ფეხბურთის სპეციალისტებს მიმართა თხოვნით — გასული წლის შედეგების მიხედვით დაესახელებინათ კონტინენტის 5 საუკეთესო ფეხბურთელი.

მიღებული პასუხებისა და ქულების მიხედვით (სიაში პირველი ადგილისათვის ფეხბურთელს ეწერებოდა 5 ქულა, მეორე ადგილისათვის — 4 ქულა) ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია: ინგლისელი სტენლი მეტიუზი (47 ქულა), ურუგვაელი ალფრედო დი სტეფანო, რომელიც ესპანეთის გუნდში გამოდის (44 ქულა), რაიმონდ კოპა, რომელიც საფრანგეთიდან ესპანეთის გუნდში გადავიდა (33 ქულა), უნგრელი ფერენც პუშკაში (32 ქულა), საბჭოთა სპორტსმენი ლევ იაშინი (19 ქულა), უნგრელი იოკეფ ბო